ვანომ დიდის მეცადინეობით მოახერხა პიონერ-
რაზმისთვის ერთი ნაჭერი მიწის შოვნა საცდელ-სა-
ჩვენებელი ბოსტნის გასაშენებლად და მისივე თაოს-
ნობითა და სოფლის აგრონომის დახმარებით გადა-
წყდა — სანიმუშოდ დაითესეს ბოსტანში ჯიშისანი
თესლეული...

— აბა, გიორგი, თამარ, ირაკლი! დატრიალდით
თქვენებურად და გაამზადეთ, სათსლე სიმინდისთვის,
კვლევი მწკრივი. ბიჭებო! — მიმართავს ვანო ჯგუ-
ფებად დაყოფილ პიონერ-რაზმს, — თქვენ კომბოს-
ტოს ვადარებთ შეუდევით... აბა, ცოცხლად, მეგობ-
რებო! ერთ საათში უნდა მოგვჩენთ სამუშაოს...

— ხელო რომ აღარ გვექნება სამუშაო? — იკით-
ხა გულუბრყვილოდ პატარა გოგამ, რამაც საერთო
სიცილი გამოიწვია რაზმში.

— ხელოთვისაც ვიშოვით საქმეს... — მოღიმა-
რი სახით მიუბრუნდა ვანო მას და თავზე ხელი
გადაუსვა. ხელო პამიდორი უნდა გადავკრათ, შემ-
დედგ სარწყავი არხი უნდა ვადმოვიყვანოთ ზაქარის
წყაროდან...

— წყალი რად გვინდა, ვანო? — კითხულობს
პატარა გოგი, და პიონერ-რაზმი ისევაც ახმაურდება
სიცილ-ხარხარში...

— ბოსტანი უნდა მოირწყოს, ჩემო გიორგი, —
გაუღიდა სახელი ვანომ გოგის და დანარჩენებს გა-
დახვდა, როგორ მუშაობენო...

— თაღლითობა არავის დაგეტყოს, თორემ
ვაი თქვენი ბრალი! ხომ იკით, როგორი ფუხკიანია
ჩვენი აგრონომი?

— ვანო! კომბოსტო ღრმად ჩავრგოთ თუ...

— აი, ასე... ამოდენა ჩამალეთ მიწაში ფესვებს
ზემოთ...

ვანო ჩხირის სიგრძით ანიშნებს რაზმს კომბოს-
ტოს დარგვის წესებს და სიმინდის კვლებს ასწო-
რებს...

სიმღერითა და სიცილ-ხარხარით დატრიალებენ
პიონერები მიჩნეულ სამუშაოებზე და ვაოფლიანე-
ბულები მუქიათად ამოძრავებენ ჰაერში პრიალა თო-
ხებს...

— მოიტა თესლი.. კოწია, თესლი მოიტა! —
იდლეა განკარგულებას ხელმძღვანელი და ფრჩხი-
ლის ტოლა ჯიშისანი მარცვლები ცვივა მწკრივებამდ
ჩარაზმულ კვლებში.

ვანო მიწას აყრის დათესილ კვლებს...
ხალისიანი სიცილ-ხარხი და ჯგუფური სიმღე-
რები იბნევა სივრცეში და გამკვლელ-გამომკვლელი
მგზავრები შურის აღმძვრელი ხარბი თვლებით შე-
პყურებენ პიონერების ბეჯით შრომას.

*
*

— სად დეკარგე, ბიჭო, დღეს? — შეუტია ალექ-
სიმ სკოლიდან მოგვიანებით დაბრუნებულ ვანოს
და ბრაზ-თ წაოღის ტარი ხის ვადანაქერზე გა-
დაამტვრია...

ალექსი ბაზის სარებს უშახვედა თავს გა სი-
ზარმაცის გამო სამუშაოს ბოლოს ვერ უღებდა.

— სად უნდა ვყოფილიყავი?.. შეანელა ნაბი-
ჯი ვანომ შიშისაგან და ალექსის მიუახლოვდა.

— რად დროის კლასია, ბიჭო, ახლა, შეადლე-
ზე მევიდა იავორეს ბაღები შინ... შენ რა შენი
წახთენა დაგჩა იმ კლასში, რომ ვერ გამოიტეი გა-
რეთ, — აბუზღუნდა ალექსი, ცალკე წაოღის ტარის
გატეხაზე, ცალკე ვანოს ვითომ ასე დადვიანებაზე
გაბრაზებულნი და ვადატეხილი მოკლექტარიანი წილ-
ლით დაუწყუო ჩიგნა წაბლის უხეირო როკებს.

— იავორეს ბაღები პიონერში არ მიიღეს და
არც ქე ამუშავებენ პიონერ-კოლექტივის ბოსტანში..
მე ახლა ვავათავე მეცადინეობა, — განმარტა ვანომ
მისი დადვიანების მიზეზი და სახლისკენ შებრუნდა
წიგნების შესანახად...

— გავაკოლექტივებ მე შენ, თუ დაგათხუე
კლასს სამუდამოდ... რა დროის ბოსტანია, ბიჭო,
ამ შუაგულ ზამთარში... ხარებამდე სათესურის გა-
ტანა ვინ გეიგონა, ბიჭო, ოჯახიდან?

— ჩვენ დღეს ბოსტანც დავთესეთ და სათეს-
ლე სიმინდიც...

— კაი თქვენ ცხვირს მოუვიდეს, კაი დროის
თესვაა, ახლა, აქ ყოივეთში, ბიჭო! თესე-კეთეს რომ
არ დოუძახია ჯერე, ამას მაინც ვერ დააკვირდით?
თავის ბოჯამდე რავა მიიღებს მიწა სათესურს?!

— რა დროის ხარებაა, მამაჩემო! — წითამამდა
უფრო ვანო და ალექსისკენ შემოტრიალოდა — ახლა
რაც დაითესება, ის ყოველთვის უფრო ჯიშისანი იქ-
ნება და ნაყოფიერი. ადრე დათესილი ადრე შემოვა
სატეხ-საკრეფად და ამას რაღა სჯობია...

— კაი ერთი, დეიწყებ შენც სოლომონ ბრძო-
ბას. მარტში არ უთესია ჩვენს მამა-პაპას, მარა

161935710

მიშვილით არცერთი არ მომკვდარი,—არ იშლიდა ალექსი ჯიუტობას, თანაც დარცხენილი იყურებოდა თავის ეზო-მიდამოზე, სადაც ჩალის ჯიქურები ჯერაც არ იყო მოჩხილი და აბა დახვნაზე ხომ თავს არასოდეს არ იწუხებდა ალექსი ფარცხალაძე... ყველგან ბოსტნები დათესილი იყო სოფელში, ის კი ბოსტნის შესალობს სარებს ახლა უმზავებდა თავს და წყნელი ჯერაც არ ჰქონდა გამზადებული.

— ჩქარა ქმე, ბიჭო, სადილი და ტუყში წამევი, ერთი ჰვირთი სარი ჩამომატანინე... შენ დღე-ტყდა ფეხები, თუ ადრე მოსულიყავი შინ და ერცხებ წამომხმარებოდი სამუშაოზე,—გაყოლა სიტყვა ალექსიმ მიმავალ ვანოს და ჯირჭე ჩამოჯდა...

— ვაი, დედა, წელი! ამევიდა სული ამდენ თრევაში და აი წუწუკი მამაძაღვლები იძახიენ კილო, მარტში დღიწყეთ თესვაო... რომ ამოღებმა სათესური მიწაში და ხელახლა გახდებმა დასათესავი, მაშინ? ალექსიმ მწარე აქრილი თუთუნი სლოკინით გააბოლა.

— მორჩი, ბიჭო, გამიეტიე ვარეთ! დააჩქარა ალექსიმ სკოლიდან დაბრუნებული ვანო ტუყში წასასვლელად და თვითონაც მოემზადა წირებებითა და შესაკოჭავი ღვლერქებით.

— მე დღეს გადაღმა ეზოს ვთესავ.—გაეხმაურო ვანო ალექსის და სახლიდან ეზოში გამოვიდა.—ჯიშინი სათესლე გამოვარავი ჩვენს აგრონომს და ის უნდა დაეთმოს მწკრივებში.

— გაგამწკრივებ მე შენ, თუ შევიღებე ცხვირი ქიაფერივით. მე რომ გელაპარაკები, იმას არ უყურებ და რაცხას ვინცხა შენსავით შტერი აგრონომი წავილაპარაკებს იქინე, იმის ჭკუაზე იარები? გასწი, ჩქარა წამეილე იგი წირებები და წვივიდე.

— მე სიმინდი უნდა დაეთესო,—დაბრუნდა ვანო განცხად ვანომ ალექსის საყურადღებოდ და ფეხიდან ჯიშინი სათესლე გამოიტანა, თობი მოემზადა და წასასვლელად მოემზადა.

— მოდი, ახლა, და ამ ყაზილარს ნუ მოამტერევ ცხვირს!

— რა გაჯავრებს, ბეჩა?—ჩაერია ლაპარაკში მეზობლიდან დაბრუნებული მაკრინე.

— რავე რა მაჯავრებს, დედაკაცო! მე ვარ ამ ოჯახის უფროსი თუ მაგი, შენი ვაყიშვილი... რა დროის თესვაა, ქალო, ამ ყაიმეთში.

— უი, დაგიღვს თვალები! ბაღანა მიხვდა თესვის დროის მოახლოვებას და შენ ჩალის ღერი არ მოგიძვრია ჯერე. შენთვის მისამდე არ ეგვიანება თესვას... ამ ხალხ ვერ უყურებ, შე თვალ-ყურდასაყენებელი, რომ საჩქარებენ ყველაყას, რაც შეიძლება ჩქარა და ადრე დათესეთ ყანები, კაი მოსავალი თუ გინდებინაო?

— შენც მაგენს უყურებ, მაკრინე? გადაგრეცს თქვენ თქვენი გამჩენი, რაცხა ბზინკატენივით თქვენ ხართ წროულს გამწარებული.

ალექსი ბუზღუნით გაშორდა ეზოს და ტუცკენ გაემართა.

ვანო მოზღენილად ხმარობდა აპრილებულ თობს გადაღმა ეზოში და, საცდელ-საჩვენებელი ბოსტნის დაბუშუგების წესების მიხედვით, ჯიშინს სათესურს მწკრივ კვლებში ანაწილებდა.

*

*

ბევრი ეღვა ვანოს ალექსი, ბევრი ეღვაეღარაბა, მაგრამ ადრე თესვაზე მაინც ვერაღებინა ხელი, თესვაზე დაძახებამდე, არ იქნა, ვერ მოაღდევინა. ვანომ რა ხანა დათესა პიონერ-კოლექტივის საცდელ-საჩვენებელი ბოსტანი...

ტოლ-ამხანაგების დახმარებით [გადაღმა ეზოს მიწა მეზობელ სტეფანეს ყაზირს შეუერთა და რამდენიმე მოზრდილი პიონერმა კოლექტიურად დაამუშავა.

ვანო აქაც მეთაური იყო და ხელმძღვანელი. ბევრი ეღვა ალექსი შეიღს, ჩემს მამისოულ მიწას ქვეყნის საჯიგლაგოდ რავე დაგანებებო, მაგრამ ვანომ მაინც თავისი გარტანა და ნაადრევად დათესილ კოლექტივის მიწაზე უქვე აბიპინდა ძველივით შავი ს-მინდის ჯგვილი.

გვიღა „ხარება“ და „ნასესხების“ კვირაც... ალექსის წინასწარმეტყველება თოვლის მოსვლისა და ყაიმეთი ამინდის შესახებ არ გამართლდა, პირიქით, საშინელი მზიანი დარები დაიჭირა გაზაფხულის დასაწყისშივე... თბილი ქარისაგან დასკდა დედამიწის ზედაპირი ღარებ-ღარებდა, და მიწაზე თობის დაკარება შეუძლებელი შეიქნა.



სიღნაღის პიონერთა მუსიკალური წრე



ალექსი შეაშფოთა ამ მდგომარეობამ, აპრილი მიიწურა და თესვის დაწყება ვერ მოახერხა... გამოკერკეტებულ მიწას თოხი ისე ვერ მოუქნია, თოხის ტარი რომ არ გატეხოდა... საფიქრებელში ჩავარდა ალექსი.

— რავე, აი დალოცვილი განგება შიმშილობას ხომ არ გვიბირობს, ამ თვის გასვლაზე რომ ერთი წვიმა არ გვიმეტა, ა? — ფიქრობდა ალექსი და პიონერ-რაზმის ყანას ხარბი თვალით აკვირდებოდა.

ჯერ მისი არ დამდგარიყო, და კოლექტივის ყანა, უკვე გამარგოლი, ზღისავით დღეაღდა სუსტი ნიავის წამობერვანე...

— რავე მაჯობებს ამ ბაღლებმა კეთილთა? — გამოუტყდა ალექსი თავის თავს ნაადრევად ყანების დახაზვას. — ორმოცი წელიწადია ამ მიწას ჩავიკითხებ, თოხნისა და თესვის მეტი არაფერი მისწავლია ჩემს დღეში და, თურმე, უყურე, აი უსტავლელი კაცი აღარც ყანის თოხნიად ვარგებულა... არა, მე თუ ჯიწნაზე არ ვიყავი ჩემი თავის და ოჯახის საწინააღმდეგოდ, რა დროს ხარება იყო და თევკაფეს უყურება, ა? დამეჯერება იმ ჩემი ბიჭის და პაწე აღრიფლე ჩამეყარა იგი სათესური მიწაში, ავი არ მერჩია?.. რავე დღეიღუბე და დღეიქვეტი კაცი ამ ჩემი ჯიუტობით... რავე დაეწყვიტე შიმშილით ოჯახი ამ გასულზე...

ალექსი დაღონებული ჩამოჯდა ფაცხის წინ და მწარე ფიქრებს მიეცა...

ქუჩები ბავშვების მხიარულება ყვირინამ დაფარა... ავტო ვანოც მოვიდა სკოლიდან დაბრუნებული. ვანო არაჩვეულებრივ კარგ გუნებაზე იყო.

— მიმილო! — მისვლისთანავე შეუქანა ვანო და ფიქრებულ ალექსის — ხვალ ჩვენი სარწყავი არბი გაიხსნება... ერთი დამე ჩვენს მიწაზეც ივლის სარწყავი და დავესოთ კიდევ... —

ალექსი გაშტერებული უყურებდა ვანოს და ყურს არ უხვერიდა ნათქვამის სინამდვილეს...

— რას ამბობ, შვილო? — მღელვარე კილოთი იკითხა ალექსიმ და განცვიფრებული პასუხს დაელოდა.

— სარწყავს გვათხოვებენ, მამაჩემო, ერთი მით, და ჩვენს მიწას მეტი არ უნდა მოსალომავად...

— ისე კი, ვანომ განგებ სიტყვა გაუგრძელა და ალექსის თვალებში ჩააქქერდა, — საგისოდ ჩვენი მიწები კოლექტივში უნდა გავაერთიანოთ.

— კოლექტივში?... —
— ჰო, მამაჩემო! კოლექტივში, საერთო ძალღონით, ხომ უყურებ, როგორი ბოსტანი და ყანა გავაკეთეთ ჩვენ, პიონერებმა; გაისად მოხრდილებმაც უნდა მიგვბამოთ ახლაგაზრდებს...

— კოლექტივში... — შეაკვდა უქანასკნელი სიტყვა ალექსის ტუჩებზე და ისევ ფიქრებმა გაიტაცა...

— მოვდივარ!.. მე კოლექტივის მომხრე ვარ, თუ გინდ წრეთლსაც... შენ კი, ჩემო ბიჭიკო, უმეველად აგრონომად უნდა გავგზარდო, — და უმატა ალექსიმ და საკუთარი სიწითლე იგრძნო წარსულში ვანოსადმი უხეში მოპყრობისათვის. ალექსი დარწმუნდა თავისი შეცდომაში და გადაწყვიტა: სოფლის მეურნეობასაც სკირდებდა ცოდნა და მკოდნე პირები... ამიტომ... ვანოც აგრონომად უნდა აღიზარდოს...

3. ჩხიკვაძე.



გელათის ნ/3. ბანაის პიონერი ამეცადინეს წერა-კითხვის უცოდინარ შეჯავშირებელ ბავშვებს

ლ ა ნ ი ნ ი !

(სურათი - რეპეტიცია)

მ ა ჯ მ ე დ ნ ე :

1. ლეო
2. ქეთო
3. მიტო (პიონერები)
4. ლილი
5. ვანო

წინათქმა (ფარდის წინ) დღეს ჩვენ, პიონერები, ვიგონებთ ლენინს

და
მის საღიღებლად ყველგან ვქრით.
ჩვენ ლენინით ვართ ანამლერები
და
წითელ დროშებს მის წინ ვხრით.
(საყვირი)

აღლო! აღლო! აღლო!
სმენა!
აქ ვათამაშდებთ პატარა
სცენა
და...
(საყვირი. სიმღერა. ფარდა აიხდება).
სცენა. ლენინის კუთხეს რთავენ. ბუტკი,
სურათები, პლაკატები, ლოზუნგები და
სხვა.

ლეო. აბა, ამხანაგებო, ეს ჩვენი კოლექტივი ისე მოვრთათ, რომ ყველას სჯობდეს... ჰო, ასე... ლენინის კუთხე ვაგაშხალათ. ლილი სადაა?

მიტო. (ხივილით) აგერ, იქ დგას, კუთხეში, გაბუტული...

ლეო რათა?

ქეთო. რათა და ჩემი ნახატი ლენინის სურათი რათ დიწყოთ და ვანოსი რათ გააკეთეთო. მართლა? ოი, შე ბუტკია!.. მოდი აქ, მიშველე ამ დროშების მიმაგრება...

ლილი. (წყნარმით). ჰო და... რაა, ვანოსი ჩემზე უკეთაა დახატული?!

ქეთო. კარგი ახლა შენც!.. სულ ერთი არაა? ამხანაგები არა ვართ? რომელიც უკეთესია, ის დავკიდეთ... აი, სამაგიეროდ, შენი დაწერილი ლოზუნგები მოვიწონეთ... შეხე, რა ლამაზია... აგერ მიტოს პლაკატები... ჩემი ნაქარგი დროშები... მოლით, აბა ეს ლენინის ქანდაკებაც დავდგათ ახლა ზევით... ჰო... ასე... ნელა... ასწი... ჰაა...

მიტო. ფრთხილად!..

ლეო. ახლა ეგ ყვეილები და მწვანე ტოტებიც მომაწოდე... ასე... ხომ კარგადაა?

ქეთო. კო... (დაფი გაიხმის)
ლეო. რა ამბავია?

მიტო. ვანო თავს უყრის პიონერებს ეზოში.
ლეო. ჯერ არა... აი ეს პიანინო აქეთ მივიწიოთ... ჰო, ნელა... სცენა მხადაა... მაშასადამე, ამაღამ ლენინის მოსაგონარი საღამო გვაქვს... მოწვეული არიან ყველა სასწავლებლიდან წარმომადგენლები და აკრთვე ჩვენი მშობლები. როლები ხომ ყველამ იცით?

ქეთო. მე მგონია ყველამ.
მიტო. აი მე ამ ადგილს კიდევ გადავიკითხავ, თორემ, ვაი თუ შემცდეს და...

ქეთო. კარგი, თორემ... პიონერი უნდა ეცადო არ შერცხვებს არაფერში.

ლეო. მაშ, ჩვენ, ამხანაგებო, ამაღამ საღამოს ვმართავთ, ხვალ კი ქუჩაში საერთო დემონსტრაციაზე გავდივართ... ხვალისთვის ავტომობილს დაგვპირდენ, რომელსაც მოვრთავთ შესაფერისი სურათებით და წარწერებით, მერე ტანისამოსი და გრემები უნდა ვიშოვნოთ კარნავალისთვის, შენ ჩანკაში იქნები, სიკო, კოტე წითელ-არმიელი. როგორ ასროლინებს კულით ქვას მის... შენ, მიტო, შენ შევიკი...

მიტო. არ მინდა მენშევიკი.. თუ გინდა, შენ იყავი .. მე ბოლშევიკი ვარ!

ლეო. (ხივილით) არა, მიტო, ხუმრობით, როლში... შენა, ქეთო, ვითომ ფოფოლია ხარ...

ქეთო. კი, მაგრამ, მე, ასე ვამხარბი, მსუქან ფოფოლის როგორ დავმსგავსო?!

ლეო. არა უშავს-რა .. ვითომ ვახდი მის შემდეგ, რაც შენ ქმარს, მღვდელს, გაუგეს ეშმაკობა, ველარავის ატყუებს, ეკლესია კლუბად ვაყვითეს, მუქთა ტაბლა და სამღვთო აღარ მოვდით და... აბა რაღა უნდა ჰა-მო? (ხივილი). მღვდელი იქნება კოლა... ჰო, ასე... აი, აქ, ანაფორის ქვეშ, მუცელზე ბალიში აიკარი და ვაბერილი გამოჩნდები... ვითომ ძველი ქონი კიდევ შეგვრჩა (ხივილი). შენ კულაკი იქნები. შენ... ჰო, შენ რა უნდა იყო? ჰო... შენ ლარბი გლეხი, რომელიც კოლექტივში შესულა და იქ მოკალათებულ კულაკს პანდურს ჰკრავს. აი ასე... (ხივილი) ეს ხვალ, დღესთვის კი ახლა გავიაროთ რეპეტიცია... ფარდა აიხდება თუ არა, მე ვიტყვი სიტყვას ლენინზე, მერე ვავითამაშებთ იმ

პატარა პიესას, კოლექტიურად რომ შევადგინეთ, და მეორე განყოფილებაში კი გამოვალთ ერთად საყვირით, დაფით, მწკრივად, გავაკეთებთ ფიზკულტურულ ნომრებს, პირამიდას; ამ წითელი ლენტით ხუთქიმიან ვარსკვლავს, აი ასე... დადებით... ჰო... შენ და შენ შუაში დაიჭერთ, ჯვარედინად, ჩაქუჩს და ნამგალს... ქეთო მალა აუა დროშით... ვანო დაფს დასცემბს! მიტო ბუტს, ლილი პიანინოზე დაუკრავს ჩვენ მარშს, ვიმღერებთ ჩვენს პიონერულს, ბოლოს—სამგლოვიარო მუსიკა, და დაევათავებთ ინტერნაციონალით...

ქეთო. შენა, ლეო?
ლეო. მე? მე მეთაური ვიქნები, კონფერანსიე... აბა ახლა დავიწყეთ... ვანო, მოემზადეთ, შემოიყვანე ამხანაგები, და დაიჭირეთ ადგილები.

ვანო. (გახსახებებს) სმენა, წინ იარ! (დაფი. საყვირი. შემოდინან, იჭურუნ ადგილს) ერთი! ორი ერთი! ორი!...

ლილი. მიტო, მოდი, ეს პიანინო ასე მოვატრიალოთ, თორემ ვერ ვადგენებ თვალს თქვენს სეკლას და როგორ აგაყოლოთ? არ შემეცდეს...

მიტო. აბა, მოდი, ამხანაგებო, მოვაბარუნეთ. (შველიან) ჰო, ასე...

ვანო. დაიჭირეთ, ამხანაგებო, ადგილები. (სმაუთი. ყვილი. სკამების და სხვა ნივთების გადაადგმა-გადმოდგმა) სიჩუმე!

ლეო. დავიწყეთ... აბა, ლილი! მარშ!... (მუხიკა). (აპყვებიან მიყრით. თანხმდებიან ფეხის სმა, საყვირი, დაფი).

ლეო. სდექ!!!

ლილი. დაიწყე, ლეო.

ლეო. (ჩახველებს, სწორდება). ამხანაგებო... დღეს, ამხანაგებო...

ვანო. (სიცილით). ჰო, კარგი, ვით, რომ ამხანაგები ვართ.

ლეო. ნუ მიშლით!

ლილი. კარგი, დაიწყე.

ლეო. ახლა შენ! ამხანაგებო, დღეს ჩვენი პიონერ-კოლექტივი მართავს ძია ლენინის ხსოვნის საღამოს, მისი გარდაცვალებიდან მეექვსე წლის თავზე... ვინ იყო ვლადიმერ ილიას ძე ულიანოვ-ლენინი, ანუ ჩვენგებურად—ძია ილიჩი? ის იყო გენიალური რევოლუციონერი, კარლ მარქსის მოძღვრების საუკეთესო გამოყენებელი ბოლშევიკი, კომუნისტური პარტიის საძირ-



სახინძრეწვის პიონერების კოლექტივი აგროვეებს უფარვის ქაღალდებს, კალოშებს და ჩგრებს

კვლის ჩამყრელი, ოქტომბრის რევოლუციის მებარბატრე, რომელმაც თავის ირგვლივ შემოიკრბა მუშათა, გლეხთა, ჯარისკაცთა, მეზღვაურთა და მშრომელ ქალთა მილიონიანი მასები. ის იყო მსოფლიოში და ისტორიაში უბადლო ბელადი, რომელმაც თავისი მეცნიერული გაგებით, წინამძღოლობით გაყოლია მთელი მსოფლიოს მეექვსედი ნაწილის—ყოფილი რუსეთის იმპერიის—მშრომელი, ის იყო ერთადერთი, რომლის სახელსაც ერთნაირად სცემენ თავიანთს ამ უზარმაზარი ტერიტორიის—ბალტიის ზღვიდან შვი ზღვამდე, კაკასიდან დიდ ოკეანემდე, უკრაინიდან შუა აზიამდე—მოსახლე სამრეწველო რაიონების მუშები, სოფლის გლეხობა, მცირე ერები, შეკავშირებულნი ერთ დიად სამკოთა კავშირში მშურად, და რუხ ფარჯაში გამოწყობილი წითელ-არმიელები, ახალგაზრდა ლენინელები, ნორჩი პიონერები, პატარა ოქტომბრელები...

ყველა. ვაშ!
ლეო. ლენინი იყო, რომელმაც შესძრა სამყარო, მისი ძახლით დაეცა მეფე, მისი შეტყეობი წაილეკა ბურჟუაზია, მან დაანაივა ყველა ვიგინდარა სხვადასხვა პარტია, რომლებიც მშრომელთა სახელს ეფარებოდნენ, მან ამხილა მათი ორგულობა და თვით გაუძღვა ახალი გამოარვეებებისაკენ, სანეტარო სოციალიზმისა და კომუნისმისკენ

ყველა. ო, ლენინ!
ლეო. მის მიერ საძირკველჩაყრილი კომუნისტური პარტია შიშის ზარს სცემს მთელი მსოფლიოს ყაჩაღებს — ბურჟუაზიას — და მოუწოდებს ბრძოლებსკენ საზღვარგარეულ ჩვენს ძმებს, დედებს, დებს, მამებს, მსოფლიო პროლეტარიატს!

ყველა. წინ!..
ლეო. ლენინის სახელზე ლოცულობენ იმპერიალისტური ქვეყნების მიერ დაპყრობილი კოლონიების დაჩაგრული ერები, მონები, იმის აღთქმას ელიან, და ვინაა ის, ვინც ითვლება მთელი ქვეყნიერების მშრომელთა ბელადად?

ყველა. ძია ლენინი!
ლეო. ვინაა ის, ვისი სახელის ხსენებაზეც შიშით ესკალებს მსოფლიო ბურჟუაზია?

ყველა. ლენინი!
ლეო. ვინ ითვლება პიონერების მამად?

ყველა. ძია ილიჩი!

ლეო. და, აი, ეს უკვდავი პიროვნება, რომელიც მთელ თავის სიცოცხლეში იბრძოდა მშრომელთა განთავისუფლებისთვის და დაიწვა მუშათა და გლეხთა სიყვარულის კოცონზე, — გარდაიცვალა 1924 წლის 21 იანვარს, საღამოს 6 საათსა და 50 წამზე. ჩვენ ოდნავ ძირს ვხრით ძია ლენინის წინ შეავარშია შემოვლებულ წითელ დროშებს! (გაისმის ხამკლევიანობა მუხიკა და ამ დროს ხმა):

ვანო. პიონერებო! სწორდით! საღამო მარცხნივ! (დევებიან ხელს საპატიოდ აიფეხენ; რა მუხიკა დახრქვლება):

ლეო. ლენინი ჩვენთან აღარაა, მაგრამ ლენინი-ზმი კი...

ყველა. მოიწვევს წინ!
ლეო. ო, ლენინ, შენს პარტიას, რომელიც ფრთებს შლის ყველგან, შენს ძველ ბოლშევიკ-გვარდიელებს, ბრძოლებში დაღლა მაინც რომ არ სწყაით, შემცვლელად მოსდევენ ახალგაზრდა ლენინელი კომკავშირელები და...

ყველა. მათ შემდეგ ნორჩ პიონერთა მილიონიანი უძლევი გუნდები!
ლეო. რომელთაც ფეხდაფეხ მოსდევენ კომუნის ყვავილები...

ყველა. პატარა ოქტომბრელები!..
ლეო. ჩვენ, ძია ლენინ, შენგან გაცვლულ გზაზე ვსწავლობთ, ვიზრდებით და ასე ვმღერით:

(მუხიკაზე)

ყველა. პიონერები მოვდივართ ძლევივით დაღობაში არა გვყავს დაღობა. ძველ მსოფლიოზე მზად ვართ შეტევით და წითელ დროშებს ვაღვლებთ მაღლა!

ლეო. მოიცადეთ, ასე არა... აბა, პირამიდით დადებთ, წელან რომ გითხარით... (დგებიან. ხმაური) შენ, ქეთო, ადი მაღლა. აბა, წითელი დროშა ასწი. ასე... მომე ეგ ლენტი... ასე დაიქი... თქვენ თითებზე გამოადეთ... შენ ფეხზე... ასე... (გარსკვალავს აკეთებენ) ესეც ვარსკვლავი... აბა, თქვენ ჩაქუჩი და ნამგალი ასე დაიჭირეთ მუშაში, ჯვარდინად... ჰო... ასე... აბა, ახლა დაეწყოთ... (მუხიკა, მღერა).

ყველა. პიონერები მოვდივართ ძლევივით, დაღობაში არა გვყავს დაღობა...

ლეო. მოიცათ... რიგიანად ამეყვით მუხიკაზე...

ვანო. არა, აქი სოჭი, ლეო, ჯერ ლექსები ვთქვათ და მერე საერთოდ სიმღერა?

ლეო. ჰო, მაგრამ, ხომ ვიცით ზებირად, დრო რაღაზე დავაბანდოთ? საღამოზე ვიტყვი... (მუხიკა, მღერა). ძველ მსოფლიოზე მზად ვართ შეტევით და წითელ დროშებს ვაღვლებთ მაღლა!

ლეო. ვენდათ, მოდით, დაქსოვით ვთქვათ ლექსი ლენინზე, მელოდეკლამაციით.

მიტო. კარგი (მუხიკა. იწყებენ თქმას).

ლეო. ო, ძია ლენინ,

ქეთო. ვუცავთ შენ სახელს,

მიტო. შენს წითელ დროშას

ლეო. არსად არ დაეხრის

ვანო. და საპატიოდ

ქეთო. ვიღებთ მაღლა ხელს.

(გაისმის მუხიკა — ინტერნაციონალი).

ვანო. მენა! ხელი მაღლა! (დებენ ხელს, მუხიკა უკრავს მარშს, გარს უკვლიან) ერთი: ორი! ერთი! ორი!

ყველა. ო, ლენინ, ნორჩი პიონერები შენს დაიდ მიზნებს ვიქმნებით ფარად.

და, კომუნისზით ანამღერები,

იცოდე, წინსვლად მზადა ვართ მარად!

(საყვირი. დაფი, ტამი, გადიან. ფარდა ეშვება).

ბოლოთქმა. (ფარდის წინ)

გათავდა სცენა — რეპეტიცია.

გი, მსოფლიოვ, გესმოდეს შენცა:

პიონერებმა უკვე იციან,

თუ რა ფასი აქვს ლენინის დღესა.

ლენინის დღეებს ყველას გავაცნობთ, მტერი ჩვენს ძილას ვეღარ მოლუნავს, იარაღს მხოლოდ მაშინ დავაწყობთ,

ყველგან რომ შეგქმნით დაღობა კომუნის!

სეზან ერთაწმინდელი

სახელგამოს სტამბა და სახანჯლარიო ნივთების სახელმწიფო.

ბევრმა არ იცის, რომ სახელმწიფო გამომცემლობას აქვს პატარა დამხმარე სტამბა და შედარებით უფრო კარგად მოწყობილი საკანცელარიო ნივთების სახელმწიფო. ზემოაღნიშნულ პატარა სტამბა-სახელმწიფოში სულ 45—50 კაცი მუშაობს, მათ 40% ახალგაზრდობა წარმოადგენს, რომლის კვალიფიკაციის ამაღლებას ჯეროვანი ყურადღება ექცევა. თუ გადავთვალავთ მათ მოქმედებას, დაინახავთ, რომ დიდი მიღწევები აქვთ შედარებით უფრო დიდ სტამბებთან. მაგალითად, უმათავრესი დირექტივები პარტიული და პროფესიონალური ხაზით რომელიც ეხება წარმოების გაუმჯობესებას, სოცშეჯიბრის, თვითღირებულების გაიანჯებას, საქონლის ღირსების გაუმჯობესებას,—წარმატებით სრულდება. აი მაგალითი: სოცშეჯიბრებაში ჩვენმა პატარა სტამბა-სახელმწიფომ დაი-

კავა ტვილისის მასშტაბით მესამე ადგილი, წარმოების ღირსება გაუმჯობესდა, თვითღირებულება მთელმა წარმოებამ 5% გაიანჯა, ხოლო სახაზომ 10%; წარმოება გაიანჯარდა 5%, ზედნადები ხარჯები შემცირდა 40%-ით. ამის შემდეგ უნდა ვისურვოთ, რომ მეტი ყურადღება მიექცეს აღნიშნულ სტამბა-სახელმწიფოს ტექნიკურად გაუმჯობესების დარგში, რაც უფრო მეტ ეფექტს მოგვცემს წარმოების აყვავებაში და სახელმწიფო გამომცემლობას ექნება პატარა, მაგრამ მკვიდრ ნიადაგზე დაყენებული სტამბა-სახელმწიფო.

ვისურვებთ, რომ ჩვენმა ხელმძღვანელმა ამხანაგებ-მაც შეუწყონ ხელი ზემოაღნიშნულის განხორციელებას.

გაბო.

ხეშურ გავაზრთა

— ჰო და ასეთია მდგომარეობა. ჩვენ ძალიან გვაინტერესებს სწავლა და წერა-კითხვის შესწავლა, მაგრამ მშობლები ვერ გვაძეკვენ ყურადღებას...—განაგრძობდა ლაპარაკს პატარა ხეშური ბიჭი, რომელსაც ვეკითხებოდით აქედან ჩასული უფროსი ამხანაგები.

ხეშური ბიჭი მზოგვევით იყო ჩარგვალებული, წელზე პრეტელი და გვარიანად დაეანჯული ხანჯალი ეკიდა, ტანზე ცხვრის ტყუვის ეკინი ეცოდა, თავზე ამავე ტყავისაგან შეკერილი უფი ეხურა, ფეხებზე ხლართებიანი ქალანაშები და ზოლიანი წინალები ჰქონდა.

თავლები ისეთი გამომეტყველების ჰქონდა ამ პატარა ბიჭს, დანტერესებული ბავშვი უნდა იყოს მეთქი, ვაფიფიფი.

ჩვენ გაკვირვებული შეეკურბოდით ამ 9-10 წლის ბიჭს, რატომ უნდა ჰქონოდა მას წელზე, დიდი კაცივით, ხანჯალი? ამის შესახებ კიდევს შეგიძლიათ ერთი ჩვენთან განი.

— ბიჭო, ეს ხანჯალი რატომ გაქვს დაკიდებული? განა შენც გვირდება ამ ზარში ამის ხმარება?

— ჰო, ძიავ; ალბათ შენ არ იცი. აქ ყველასაც ესაქარობდა ეს იარაღი, მით უმეტეს, მეცხვარეებს, რომლებსაც მეტი ნაწილი მთაში უხდებოდა ყოფნა.

— როგორ, შენ ცხვარშიც დადიხარ?—შეეკითხებ.

— მამ როგორ იქნება, ჩვენც ცხვრის ფარა გვაქვს და მამაჩემმა იქ მიმაყენა ცხვართან, რომ თვალყური ვადევნო; ჩემი უფროსი ძმები კი ხე-ტყეზე მუშაობენ, მამაჩემი ჩემთან არის, ცხვრების მომვლელ-პატრონად მზრდის და მასწავლის, თუ როგორ უნდა მოეუარო ამ სახიფათო პირუტყვს.

— ბიჭო, სკოლაში არ დადიხარ?

— არა.
— არც ვინდა ისწავლო?

— რატომაც არა, მხოლოდ ცხვარში ვინ წავა, თავს ხომ ვერ დაენებებ?

— არა, ბიჭო, ცხვარსა და ოჯახსაც უნდა მოვლა, მაგრამ სწავლა არ უნდა დაგაიფიფდეს, რომელიც გვიხსნის ჩამორჩენილობისაგან.

ამ ლაპარაკით ბავშვმა თქმაბუკად მივიციალა.
— გვეცნობდით: ჩვენ ჩამოსული ვართ, რომ ხელი შევიწყობოთ სწავლის გაშლა-გაფართოებაში,—გავეცანიოთ მე და ჩემი ამხანაგები.

— შეიძლება მოგვეკეთ ცნობა?—მიუბრუნდა ერთი ჩვენთან.

— რა ცნობა უფრო გაინტერესებთ?

— მაგალითად, როგორ მიმდინარეობს თქვენთან სწავლა-განვითარების საქმე, ვაქვით თუ არა სკოლა, რამდენი ბავშვი სწავლობს და რამდენი დიდია?

— ძალიან კარგი, —საქვა საბჭოს წევრმა და საბჭოს მდივანს დაავალა მოეცა ჩემთვის ცნობა.

ცნობა მოგვეცა და შემდეგ ადგილმდებარეობის მიხედვით შევადგინეთ გლეხებში სამუშაო გეგმა.

— საერთოდ, უტოლინარი ბევრი გვაეთ, არა?—შეეკითხებ.

— ძალიან ბევრი. აქ მხოლოდ ახლა გვიხსნიან სკოლებს და გვინიშნავენ უფასო და ფასიან მასწავლებლებს, გვაწვდიან წიგნებს და სხვა, თორემ ვის ახსოს უწინდელ დროს, —შემოგვერია ლაპარაკში ახლო მდგომი მოხუცი მოხვე.

— მთელ სოფელში ხუცის მეტმა არავინ იცოდა წიგნის კითხვა, —დააბოლოვა გლეხმა.

— შეილება გყავთ ახლა სკოლაში?—ინტერესით შევკრბობილი შეეკითხებ ისევ.

— არა, შენი პირივე, ვერ მიმიბარება შეილება სკოლაში, რადგანაც შინაც ისინი მეხმარებიან და ცხორსაც ისინი მიუყუენ, თორემ მე მოხუციდი, რალა შემიძლია...

— არა, მეგობარო, ეს არ ვარგა. ცხვარში ყოფნაც და მუშაობაც კარგია, მაგრამ ეს არ შეეღის ბავშვს, იმათ სწავლაც უნდათ.

— კი, თქვენი პირივე, მაგრამ როგორ იქნება, მერე ხომ ის მოცდება და ოჯახი დამელუბება.

— არა, მოხუცი, აუცილებლად უნდა შეასწავლო შენს შეილს წერა-კითხვა და ის მეტ სარგებლობას მოგცემს, ვიდრე ახლა უტოლინარი. ჩვენ ისეთი ხაზი გვაქვს გლეხებისა და მუშებისათვის ადგილზე, რომ, თუქც თუ-თარი წვერი გაქვს, შენც სკოლაში უნდა მივაბაროთ, დიდების სკოლაში, და იქ უნდა შეგასწავლით ამ მოხუცს წერა-კითხვა...

გლები განცვიფრებული შემოგვეყურებდა...

— განა შეიძლება მეც ვისწავლო? — შეგვეკითხა ის.

— როგორ არა, თქვენისთანა დიდები ახლა ყველა-
ინ სწავლობენ, და ამას ხელს უწყობს ჩვენი მუშურ-
გლებური მთავრობა, აწვდის წიგნებს და უკრანალ-ვაზე-
თებს უფასოდ. ჩვენ გვირდა ყველა მშრომელმა ისწავლოს,
ჩვენი მთავარი მიზანი ეს არის.

შემდეგ მივუბრუნდი ჩემს თანამგზავრს და ვადავეუ-
ლაპარაკე მისეა გლებისთვის საჩუქრად წიგნი.

გლებმა წიგნი აიღო, მაღლობა გადაგიხადა და
წარმოსთქვა:

— გამაღობოთ, ჯელებო. მე ამ წიგნს ჩემს ბიჭებს
წაუფლებ: თან სკოლაში მივაბარებ და დავეხმარები, რომ
ისწავლებ. თქვენი დარიგებით შეილები ნასწავლი მეყო-
ლებმა, — დააბოლოვა ბეჭემ (ასე ეძახდენ ამ გლებს).

II.

გავიკვს გლებებმა ჩვენი მისვლის მიზანი და გარს
შემოგვერტყენ, ვინ რას გვეკითხებოდა და ვინ რას.
ჩვენც დავპარდით თავ-თავის ბანებსა და ქოხებში ესტუ-
მრებოდით მათ, და ისინი კმაყოფილი დაიშალენ იმ
დღეს.

შემდეგ გავანაწილეთ საშუაო, თუ როგორ ესტუმ-
რებოდით გლებებს მათ ქოხებში და მიგვეცა ახსნა-გან-
მარტბა სწავლისა და სისუფთავის შესახებ.

მუშაობა მოგვიხდა ოსებისა და ხეცურების სოფლებ-
ში, სადაც მეტად დიდი ჩამორჩენილობაა, გლებობაში წერა-
კითხვის მცოდნეს იშვიათ შეთხვევაში თუ შეხედებით,
ისიც წითელ არძიაში ნაშუალო გლების შეილებს, დანარ-
ჩენები სულ უტოდინარნი არიან.

ის ხეცურის ბიჭი, რომელიც ჩასვლისთანავე შე-
მოგვხვდა, არ გვიშვებოდა, დავგდევედა და თან ჩვენ ნა-
ჩუქარ წიგნს ხშირ-ხშირად ფურცლავდა.

— საბავშო უფრანალი „პიონერია“, რომელიც ამ
ბიჭს ვაჩუქეთ, სულ ავისილი იყო სხვადასხვა სურათით.
ბიჭი ამას გაეკვივრებოდა და ხშირად უტყუროდა მათ.

პირველად თავის სოფელში შეგვიყვანა, რომელიც
ცენტრიდან არ იყო დიდად მოშორებული; მივედით თუ
არა, ბიჭმა თავის სახლში შეგვიპატივა. მერე გარეთ
გამოვიარდა და გლებებისა და ვეგებ ბიჭებს თავი მოუყარა.

რა თქმა უნდა, მთელი იმ სოფლის ბავშვებს გაეგოთ
ჩვენი იქ მისვლა და ყველა ჩვენთან მოცივიდა.

საუბარი გაემართეთ. ბოლოს გლებმა დაიშალა,
მხოლოდ ბავშვები კი არ გვმორიდებდნენ.

— აქ პიონერთა ორგანიზაცია არის? — შეეკითხა
ერთი ჩვენგანი პატარა ბიჭს.

ის ვერ მიხვდა რაზე ვეკითხებოდით, ეტყობოდა
არ გაეგონა ასეთი სიტყვა.

— ჰო, ბიჭუნე, პიონერი აქ არაინა ხართ? — ვანუ-
შეორე შეეკითხა.

— აქ არაინ არის პიონერი, — ჩავევრია ჩვენი ნაც-
ნობი ხეცური ბიჭი. — აქ მხოლოდ მე მინდა პიონერად

ჩაწერა და არ ვიცი, როგორ და სად ჩავეწერო. სხვა აქ
კი არაინ არის.

— შეგიძლია გვითხრა, რა არის პიონერი? — ვეკით-
ხები მის.

— აბა რა ვიცი, ჩემი ძმა ანდრია ჯარიდან რომ
დაბრუნდა, ასე მითხრა, პიონერები პატარა ბიჭები არიან
თავგზირილი და ერთად აღსურას ეწვევიანო. და ეს
კი არ ვიცი რას ნიშნავს.

— სწორია, ბიჭუნე, — პიონერები კომკავშირლობის
უძეობის ძიებნი არიან და მათ ვაკვლულ გზაზე სწა-
ვლობენ და ემზადებიან კოლექტიური ცხოვრებისთვის.

— ვის ვინდათ ჩაწეროთ პიონერად? — შეეკითხა
ჩვენი დივანი ბავშვები.

— მე, მე, მე — მოისმა ბავშვების ძახილი.

მიღვანმა შეადგინა იმ ბავშვების სია, რომლებმაც
ისურვეს პიონერებად ჩაწერა.

— 25 ბავშვი უყვე ჩაწერე. — სთქვა მან.

— ძალიან კარგი. მაშ ახლა მოუყარეთ მაგ ბავშვებს
თავი და ვესაუბროთ, თუ რა არის პიონერთა ორგანიზა-
ცია, — დაგარიგე ამხანაგი და ერთ ბავშვს ჩავედით, სა-
დაც სალამოს სკოლა გაეხსნათ და დიდები მეცადინობ-
დენ. იქ ღუმელი ჰქონდათ გლებებს, ცეცხლი ენთო და
გვარიანად ცხელთადა. ბევლად, ჭრაქი ანთეს, და ბავ-
შებიც თანდათან თავს იყრიდენ.

— პირველად, სანამ საუბარს ვაფუძვრავდით, ბავ-
შებს წიგნები და რვეულ-ფანქრები დავურიგეთ, მათთვის
რომ გვეკონდა წაიღებული, შემდეგ სიწყნარე მოვითხოვეთ,
და ვესაუბრე ბავშვებს, თუ როგორ უნდა გახდნენ ისინი
პიონერები და რა არის პიონერთა ორგანიზაცია.

საუბარი დაემთავრა. ბავშვების უმეტესი ნაწილი
ყურადღებით ისმენდა ჩემს საუბარს და რამდენიმე შეკი-
თხვეც კი მომცეს, მაგალითად:

— როგორ შეიძლება გავხდე პიონერი, და ან რა
არის ის?

— შეუძლია თუ არა იყოს პიონერთა კოლექტივიში
კულაკის შვილი?

და მთელი რიგი ამგვარი შეკითხვები.
ყველას პასუხი გავციო.

— არ შეიძლება, მასწავლებელია, ჩვენთან დარჩეთ
და გვაშეცადინოთ? — მომინათეს მე.

— არა, ბავშვებო, მე მასწავლებელი არა ვარ; მე
ვთხოვ თქვენს ახალ მასწავლებელს ჩაწეროსთ პიონერთა
ორგანში და სკოლაში მეცადინეობასთან ერთად იმუშაოთ
პიონერთა კოლექტივშიც, მე გამოგვხანეთ თქვენს
ყურანალ „პიონერ“ და საბავშო უფრანალი „კოლქობრის“
სტადკ არის აწერილი პიონერთა და პატარა ბავშვების
ცხოვრება, — ვთხარი მათ.

პიონერთა კოლექტივი ჩამოეყალიბებთ, და გამზი-
რულეაბული ბავშვები, დასაუბრებელი წიგნ-უფრანალი-ფან-
ქრებით, წაიღე-წამოვიდნენ თავ-თავის სახლში. წასვლი-
სას კიდევ გავგიმეორეს:

— ძია, ჩვენ ვისწავლით წერა-კითხვას, გავხდებით
კარგი პიონერები, და თქვენ კი გამოგვგვხანეთ უფრანალები.

ია ჯიბლაძე.

**ლენინმა დაიწყო, ჩვენ დავამთავრებთ. ლენინური პარტიის ხელ-
მძღვანელობით ჩვენ დავამთავრებთ კომუნიზმის საქმეს.
ლენინის სიტყვები ჩვენთვის კანონია. ჩვენ ნორჩი ლენინელები
ვართ. ლენინელები ვიცხოვროთ, ვისწავლოთ, ვიბრძოლოთ.**

აგსანაგო პიონერგო და მოწაფეგო!

ჩვენი დაკვრითი ამოცანა თებერვლის შუა რიცხვებამდე ჟურნ. „პიონერის“ ტირაჟი 5.000 გავხადოთ.

ყოველი პიონერი და მოწაფე მოვალეა კითხულობდეს თავის ჟურნალ „პიონერს“ ყოველი სკოლა, ბიბლიოთეკა და ქოხ-სამკითხველო მოვალეა გამოიწეროს ჟურნ. „პიონერი“.

პიონერთა ბიუროები მოვალენი არიან ხელი შეუწყონ ადგილებზე ჟურნ. „პიონერის“ ბავშვებში მასიურ გავრცელებას.

„პიონერი“ წელიწადში ღირს გადაგზავნით 5 მანეთი, ნახევარი წლით 3 მანეთი, ცალკე ნომერი—25 კაპ.

ჟურნ. „პიონერის“ წლიურ ხელმომწერლებს მიეცემათ პრემიის სახით წიგნი „მოწაფე-კოლოპერატორი“ და „პიონერულ პიესათა კრებული“.

ყოველ პიონერს და მოწაფეს, რომელიც ჟურნალ „პიონერის“ ხუთ წლიურ ხელმომწერს იზოვის, მეექვსე ცალი „პიონერი“ უფასოდ გვზავნება მთელი წლის განმავლობაში.

ამ წლიდან ჟურნ. „პიონერი“ გადახალისებულია შინაარსის მხრივ; საუკეთესო მეცნიერულია პედაგოგიური და ლიტერატურული ძალებია მოწვეული თანამშრომლებად, დიდი ადგილი დაეთმობა თქვენს წერილებს, ლექსებს, მოთხრობებს, და ფოტოსურათებს ყოველ ნომერში.

ამ წლიდან „პიონერი“ ტექნიკური მხრივ საგრძნობლად გაუმჯობესდება.

ამხ. პიონერებო და მოწაფეებო!

ხუ დავივიწყებთ, რომ ჩვენი დაკვრითი ამოცანა თებერვლის შუა რიცხვებამდე ჟურნ. „პიონერის“ ტირაჟი 5.000-მდე ავიყვანოთ.

ხელმოწერა მიიღება შემდეგი მისამართით: ტფილისი, რუსთველის პროსპექტი, № 22, სახელგამის საბავშვო ლიტერატურის განყოფილება ან სახელგამის პერიოდსექტორი (რუსთველის პრ., № 11.)

საბავშვო ოპერა

გამოწვევა.

ქუთაისის ნორჩ პიონერთა საოლქო ბიურომ მეტად მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა: ა/წ. 11 ოქტომბრიდან ქ. ქუთაისის მუსიკალური ტექნიკუმის გამგე ილიკო აბაშიძის და ქუთაისის აკადემიური თეატრის რეჟისორ კოტე მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით საფუძველი ჩაეყარა პიონერთა საბავშვო ოპერას. გამოიცადა 200 პიონერი, აქედან მიიღება 85; დასში უმთავრესად მუშის შვილები არიან.

ტყიბულის ნ/პ სარაიონო ბიურო უაღრეს მნიშვნელოვან აძლევს ყურნალ „პიონერის“ და „ოქტომბრელის“ გავრცელებას ბავშთა ფართო მასებში, თავის მხრივ 1930 წლის პირველი თებერვლიდან ავრცელებს 1000 ცალამდე და იწვევს შეჯიბრში ქუთაისის ოლქში შემავალ ყველა ნ/პ რაიბიუროს.

ტყიბულის ნ/პ სარაიონო ბიუროს თავმჯდომარე:
ერ. ბუხაშვილი

ქუთაისის ნორჩ პიონერთა ორგანიზაციის მიერ გადაღებული ეს პირველი ნაბიჯი უაღრესად მნიშვნელოვანია. ბ. კ. ო. ქუთაისის საოლქო ბიურო იწვევს ტფილისის, გორის და კახეთის ბ. კ. ო. ბიუროებს, რომ მათაც ჩამოაყალიბონ პიონერთა ოპერა.

გამოვიდა და იყიდება სახელგამის ყველა მაღაზიაში შემდეგი წიგნები.

1. ტერიაგი „სისხლიანი კვირა“
2. ა. გრინბერგი „ლენინის გარდაცვალება“
3. ვ. ლუარსაშიძე — „სტალინი“
4. ალ. მაშაშვილი „პიონერული“ (ლექსები)

ივანე ბუხაიძე